

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.gnerc.org)
საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის
შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 17 თებერვალი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge


info@idfi.ge


საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისია

www.gnerc.org

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები

ოფიციალური ვებ-გვერდის საინფორმაციო გამჭვირვალობა IDFI
პარამეტრების მიხედვით





საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება კომისიის ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

1. არ მოიძიება კომისიის თავმჯდომარის კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე, თავმჯდომარის საკონტაქტო რეკვიზიტები - მისაღების (თანაშემწის) საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, სამუშაო ელ.ფოსტა და ფაქსის ნომერი:



**საქართველოს ენერგეტიკისა
და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული
კომისიის თავმჯდომარე
გურამ ჩალაგაშვილი
დაიბადა 1977 წელს ქ.**

თბილისში.

**1999 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტი.**

სამუშაო გამოცდილება:

**1998-2005 წლებში მუშაობდა მიუსაფარ ბავშვთა
სარეაბილიტაციო ცენტრში "მომავლის სახლი"
სოციოლოგად.**

**2001 წლის თებერვალში დაინიშნა საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და
სამართლის ინსტიტუტში ლაბორანტად, ხოლო
2003 წლიდან დღემდე არის ამავე ინსტიტუტის
უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი.**

**2001 წლის სექტემბრიდან 2003 წლის დეკემბრამდე
მუშაობდა შ.პ.ს. "ახალი სადაზღვევო კომპანია"
იურიდიული განყოფილების უფროსად.**

**2003 წლის დეკემბრიდან 2005 წლის ივნისამდე
იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო
კომისიის იურისტი.**

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, კომისიის საფოსტო მისამართი და კომისიის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

3. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „საკონტაქტო ინფორმაცია“ მოცემულია კომისიის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია, აქვე მითითებულიყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს.

ამასთან, ხსენებულ განყოფილებაში მოცემული ტელეფონის ნომრები მოცემულია ძველი სატელეფონო კოდებით:

მის: ქ.ქუთაისი ჩეჩელაშვილის ქ #26

ტელ: 8431 25-61-20 / 25-61-22 / 25-61-23

FAX : 8431 25-61-21

ელ. ფოსტა : mail@gnerc.org / pr@gnerc.org

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება კომისიის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (კომისიის აპარატის სტრუქტურული ერთეულების (მ.შ. სამმართველოებისა და სამსახურების) და აპარატის თანამშრომელთა სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები); არ მოიძიება აგრეთვე, კომისიის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღებისა და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კომისია“ მოცემულია კომისიის ისტორიის შესახებ ძალზედ მწირი ინფორმაცია:

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) შექმნილია "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ", "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონების შესაბამისად. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილ, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე ორგანოს, რომელიც დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოების, უწყებებისა და ორგანიზაციებისაგან. კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს კანონებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

კომისიას აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით, დამოუკიდებელი ბალანსი, სათანადო ანგარიშები ბანკში, მათ შორის, უცხოურ ვალუტაში. სემეკ-ის დაფინანსების ძირითად წყაროს ლიცენზიანტების მიერ გადახდილი რეგულირების საფასური წარმოადგენს.

კომისია ყოველი წლის 31 მარტამდე ადგენს თავისი საქმიანობის შესახებ გასული წლის ანგარიშს, რომელსაც უზავნის საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს და ენერგეტიკის სამინისტროს. სემეკის ანგარიში ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვისაც.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება სათაურად „ისტორია“, სადაც განთავსდება კომისიის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

6. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კომისია“ სასურველია, განთავსდეს კომისიის მოქმედი დებულების თანახმად განსაზღვრული კომისიის სტატუსის, ფუნქციებისა და უფლებამოსილებების დეტალური აღწერა:

ფუნქციები

ა) ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების და განაწილების ლიცენზირების წესებისა და პირობების დადგენა. ლიცენზირების გაცემა, მათში ცვლილებების შეტანა და მათი გაუქმება.

ბ) საქმისწარმოების წესების და პროცედურების, სადავო საკითხების განხილვის პროცედურული წესების, რეგულირების საფასურის ოდენობის და გაანგარიშების წესის, ლიცენზირების წესების, მიწოდებისა და მოხმარების წესების, ტარიფების მეთოდოლოგიის, ტარიფების (მათ შორის, ზღვრული), ნორმატიული დანაკარგების ოდენობის და გაანგარიშების წესის შემუშავება და დამტკიცება. ასევე, სხვა ნორმატიული აქტების შემუშავება და დამტკიცება საკანონმდებლო აქტით განსაზღვრულ შემთხვევებში.

გ) კონკურენციის განვითარების საფუძველზე და არსებული არაკონკურენტული ბაზრის რეგულირების მექანიზმების გამოყენებით ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, გატარების, იმპორტის და მოხმარების, ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების, ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ სავალდებულო წესით შესასყიდი და სიმძლავრის სასისტემო რეზერვის ტარიფების, ასევე ახალი მომხმარებლების გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასურის, აგრეთვე ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების, განაწილების, აგრეთვე შესაბამის შემთხვევებში მიწოდების ზღვრული და მოხმარების ტარიფების დადგენა და რეგულირება, გარდა ავტოგაზგასამართ სადგურებში რეალიზებული ბუნებრივი გაზის ტარიფებისა.

➤ საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება კომისიის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება კომისიის აპარატის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;

- ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ წარმოდგენილ სტრუქტურულ (სქემატურ) ხეზე მოყვანილი ინფორმაციული ბლოკები არ ეხმაურება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2012 წლის 28 თებერვალის „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ №2 დადგენილების II კარში მოყვანილ კომისიის აპარატის მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალს. შესაბამისად, სასურველია სტრუქტურულ ხეზე მოყვანილ იქნეს მოქმედი დებულებით განსაზღვრული დეპარტამენტებისა და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების - სამმართველოების სრული და ზუსტი სახელწოდებები:



8. კომისიის მოქმედი დებულების თანახმად კომისიას მასზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად ჰყავს აპარატი. ხოლო კომისიის აპარატის საქმიანობას კოორდინაციას უწევს აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც ჰყავს მოადგილე. შესაბამისად, ვებ-გვერდზე არ არის მოცემული აღმასრულებელი დირექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია. კერძოდ, არ მოიძიება აღმასრულებელი დირექტორისა და მისი მოადგილის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, უფლებამოსილებათა აღწერა და მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. სასურველია ზემოთხსენებული ინფორმაცია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ ქვე-განყოფილებებში სათაურად - „აღმასრულებელი დირექტორი“ და „დირექტორის მოადგილე“.

9. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კომისიის წევრები“ არასრული სახით არის წარმოდგენილი კომისიის წევრების ფოტოსურათები:

მაია ნადირაძე

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი

მაია ნადირაძე

დაიბადა ქ.თბილისში 1961 წლის 1-ლ იანვარს.

1983 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიის ფაკულტეტი.

1984-1985 წლებში მუშაობდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტში.

1986-1990 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის 53-ე საშუალო სკოლაში.

1991 წლიდან მუშაობა გააგრძელა საქართველოს განათლების სამინისტროს გამოყენებითი ფსიქოლოგიის რესპუბლიკურ სამეცნიერო ცენტრში.

1999-2004 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის უმცირესობის წევრი.

2004-2008 წლებში – საქართველოს პარლამენტის წევრი. უმრავლესობის ლიდერი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

სერგო მესხი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი

სერგო მესხი

დაიბადა 1978 წელს ქ. თბილისში.

2000–2002 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტის მაგისტრატურაში – მაკროეკონომიკის სპეციალობით.

2003–2005 წელს სწავლობდა ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტზე, სამართალმცოდნეობის განხრით.

2003 წელს გაიარა სრული სასწავლო კურსიფინანსურ აღრიცხვაში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა კავშირში.

2010 წლიდან სწავლას აგრძელებს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, დოქტორანტურაში– ეკონომიკის ფაკულტეტზე

სასურველია, ხსენებულ ქვე-განყოფილებაში წარმოდგენილ ინფორმაციას კომისიის წევრების შესახებ დაემატოს აგრეთვე კომისიის წევრების საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

➤ მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ

10. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ მოიძიება განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების სია, კომისიის საქმიანობის ამსახველი

2011 წლის და 2012 წლის წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები, პროგრამებისა და პროექტების არქივი, გეგმებისა (მ.შ. სახელმწიფო შესყიდვების გეგმის) და პროგნოზების აღწერა, სტატისტიკური მონაცემების ბაზა (მოცემულია მხოლოდ საქმიანობის ამსახველ ანგარიშებში), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების მონაცემთა ბაზა, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები (მათ შორის ყოველწლიური ბიუჯეტი, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად კომისია ყოველი წლის 1 ოქტომბრისთვის ამტკიცებს და ყოველწლიური ფინანსური ანგარიშები, რომელთაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად კომისია ყოველწლიურად, 31 მარტამდე ამზადებს) და ა.შ.

სასურველია, ვებ-გვერდზე აგრეთვე მოიძიებოდეს სახელმწიფო შესყიდვების გეგმისა და ლიცენზიატების შემოწმების აქტების რეესტრის ელექტრონული ვერსიები.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება სათაურად „გალერეა“ არ იხსნება:

მთავარი
ჩვენს შესახებ
პარტნიორები
კანონმდებლობა
ლიცენზირება
ტარიფები
ელექტროენერგეტიკა
ბუნებრივი გაზი
წყალმომარაგება
ანგარიშგების ფორმები
ბმულები
ვაკანსია
გალერეა 

აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება (ბანერი) სათაურად „ფოტო გალერეა“ არ იხსნება:




ცარიელია ვებ-გვერდის რუკაც:



➤ ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

11. ვებ-გვერდზე არ არსებობს ცალკეული (ქვე)-განყოფილება სათაურად „სიახლეები“. კომისიის შესახებ საინფორმაციო ხასიათის ცნობები განთავსებულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „მედია ცენტრი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „პრეს-რელიზები“ და აგრეთვე, ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე მოცემულ სიახლეების არქივში, ხოლო ამ უკანასკნელს არ აქვს წვდომა ვებ-გვერდის სხვა ინფორმაციულ გვერდებთან, რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის ხსენებული ინფორმაციის მოძიების მხრივ.

აგრეთვე, ვებ-გვერდზე წარმოდგენილ საინფორმაციო ხასიათის ცნობებს არ აქვს შესაბამისი თარიღის აღნიშვნა:



მთავარი

ჩვენს შესახებ

პარტნიორები

კანონმდებლობა

ლიცენზირება

ტარიფები

ელექტროენერგეტიკა

ბუნებრივი გაზი

წყალმომარაგება

ანგარიშგების ფორმები

ბმულები

ვაკანსია

გალერეა

რეკომენდაციები

მომხმარებელთა საცურაო დღეობა

ხელმოწერა

OK

ხელმოწერის გაუმჯობესება

სიახლეები

ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთება

ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთების პროცედურები "ერთი ფანჯრის" პრინციპს დაეყვებდებარა

კომისიამ მოქალაქეთა საჩივრები დააკმაყოფილა

მას "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" მომხმარებელთა პრეტენზიების არასრულყოფილად შესწავლის გამო 5000 ლარით დაჯარიმდა

კომისიამ მოქალაქებს უკანონოდ რიცხული თანხები ჩამოაწერა

აჭარის წყალმომარაგების კომპანიებმა ლიცენზიები მიიღეს

კომისიამ სს „თელავი“ 15 000 ლარით დააჯარიმა

დავები

აქტუალური კითხვები

საჯარო წარმოება

დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება მას "სასკოსა" და მას "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს-მორის არსებული დავის თაობაზე

მივხედავ

ფოტო გალერეა

არქივი

←

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული განყოფილება სათაურად „სიახლეები“, სადაც განთავსდება კომისიის საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო ხასიათის ცნობების ერთიანი მონაცემთა ბაზა.

12. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ანგარიში“ სასურველია განთავსდეს აგრეთვე, კომისიის საქმიანობის ამსახველი 2011 წლისა და 2012 წლის წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები:

- [ანგარიში 2010წ.](#)
- [ანგარიში 2009წ.](#)
- [ანგარიში 2008წ.](#)
- [ანგარიში 2007წ.](#)
- [ანგარიში 2006წ.](#)
- [ანგარიში 2005წ.](#)
- [ანგარიში 2004წ.](#)
- [ანგარიში 2003წ.](#)
- [ანგარიში 2002წ.](#)
- [ანგარიში 2001წ.](#)
- [ანგარიში 2000წ.](#)
- [ანგარიში 1999წ.](#)

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ანგარიში 2010

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს განცალკევებული (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა კომისიის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური

ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ კომისიის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

სტატისტიკური მონაცემები განთავსებულია მხოლოდ კომისიის საქმიანობის ამსახველ ანგარიშებში, რაც კონკრეტული სტატისტიკური მონაცემის მოძიების კუთხით დაინტერესებული მომხმარებლისათვის სირთულეს წარმოადგენს.

14. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს კომისია. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს კომისია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

15. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „პარტნიორები“ განთავსებულია მხოლოდ კომისიის საერთაშორისო ორგანიზაციების პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და კომისიის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები:

მთავარი	
ჩვენს შესახებ	USAID
პარტნიორები	
კანონმდებლობა	NARUC
ლიცენზირება	
ტარიფები	ERRA
ელექტროენერგეტიკა	
ბუნებრივი გაზი	
წყალმომარაგება	
ანგარიშგების ფორმები	
ბმულები	
ვაკანსია	
გალერეა	

მთავარი	ERRA
ჩვენს შესახებ	
პარტნიორები	
კანონმდებლობა	
ლიცენზირება	
ტარიფები	
ელექტროენერგეტიკა	
ბუნებრივი გაზი	
წყალმომარაგება	
ანგარიშგების ფორმები	
ბმულები	
ვაკანსია	
გალერეა	

ERRA ენერგეტიკის რეგულირების რეგიონალური ასოციაცია

ერრა - ენერგეტიკის რეგულირების რეგიონალური ასოციაცია დაარსდა 2000 წელს და არის ცენტრალური / აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დამოუკიდებელი ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოების მიერ საკუთარი ინიციატივით (ნებაყოფლობით) ჩამოყალიბებული არაკომერციული, დამოუკიდებელი ორგანიზაცია. ასოციაციის მიზანია წევრ ქვეყნებში ენერგეტიკის რეგულირების პროცესის გაუმჯობესება, სტაბილური, დამოუკიდებელი ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოების განვითარების ხელშეწყობა, ენერგეტიკის მარეგულირებელ ორგანოებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარება და ამ გზით სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებს შორის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების უზრუნველყოფა.

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია სხვა ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან ერთად წარმოადგენს ასოციაციის წევრ - დამფუძნებელს.

ასოციაციის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს გენერალური ასამბლეა, რომელიც შედგება ასოციაციის ყველა სრულუფლებიანი წევრისაგან. ასამბლეის მიზანია ერრა - ს მოღვაწეობის ზედამხედველობა. გენერალური ასამბლეის შეკრება ტარდება წელიწადში არანაკლებ ერთხელ.

სასურველია, მოცემულ ქვე-განყოფილებას აგრეთვე დაემატოს საქართველოს ორგანიზაციებთან პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და კომისიის პარტნიორ საქართველოს (ადგილობრივ) ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

➤ **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

16. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კანონმდებლობა“ განთავსებული ზოგიერთი სამართლებრივი აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით, ამასთან, აღნიშნულ განყოფილებაში სასურველია, განთავსდეს აგრეთვე, კომისიის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს მინისტრის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სასურველია, აგრეთვე, მოიძიებოდეს კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტები - ბრძანებები (მათ შორის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების ხელფასების ოდენობა) და კომისიის გადაწყვეტილებით დამტკიცებული კომისიის აპარატის საშტატო განრიგი).

ამასთან, კომისიის აპარატის შრომის შინაგანაწესი (რომელიც, არ მოიძიება) სასურველია, განთავსდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „შინაგანაწესი“.

სასურველია განყოფილებაში „კანონმდებლობა“, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

აგრეთვე, სასურველია არსებობდეს მითითება, თუ რა საფუძვლით (პირადი, კომერციული საიდუმლოება და ა.შ.) არსებობს ქვე-განყოფილებაში სათაურად „ნორმატიული აქტები“ პროაქტიულად გამოქვეყნებული კომისიის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების ნუმერაციაში წყვეტა. შესაძლებელია აგრეთვე აქტების ნუმერაციის მიხედვით უწყვეტად განთავსება მხოლოდ აქტის მიმღები ორგანოსა და აქტის ნომრის მიხედვით. ამასთან, ვებ-გვერდზე არ მოიძიება ზემოთხსენებული აქტები უახლესი მდგომარეობით (2012 წ.):

მთავარი
ჩვენს შესახებ
პარტნიორები
კანონმდებლობა
ლიცენზირება
ტარიფები
ელექტროენერგეტიკა
ბუნებრივი გაზი
წყალმომარაგება
ანგარიშგების თონშები
ბმულები
ვაკანსია
გალენა

 გადაწყვეტილება №1.1 სს "თელასის" მიერ მომხმარებლისათვის წარსადგენ ქვითარზე დასატანი დამატებითი ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და მრეწველობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის #23/1 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

 გადაწყვეტილება №1.2 სს "კახეთის ენერგოდისტრიბუციის" მიერ მომხმარებლისათვის წარსადგენ ქვითარზე დასატანი დამატებითი ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

 გადაწყვეტილება №1.3 ბუნებრივი გაზის მომხმარებლისათვის წარსადგენ ქვითარზე დასატანი დამატებითი ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

 გადაწყვეტილება №1.4 სს "ენერგო-პრო ჯორჯიას" მიერ მომხმარებლისათვის წარსადგენ ქვითარზე დასატანი დამატებითი ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

 გადაწყვეტილება №1.5 სასმელი წყლის მომხმარებლისათვის წარსადგენ ქვითარზე დასატანი დამატებითი ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

 გადაწყვეტილება №2.1 ქ. თბილისში აეროპორტის დასახლება #48ა-ში მცხოვრები აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და სს "თელასის" შორის არსებული დავის შესახებ

 დადგენილება #17 «ბუნებრივი გაზის შესახებ» საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის #30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

 დადგენილება #20 ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ

 დადგენილება #21 ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის შესახებ

 დადგენილება #23 ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლისა და ლიცენზირების წესების დამტკიცების შესახებ

 დადგენილება #25 საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით შესადგენი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

17. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და კომისიაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა კომისიასა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, კომისიასა და სხვა საჯარო დაწესებულებებს შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

19. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ტენდერები“ მოცემულია მხოლოდ სატენდერო განხილვების ჩამონათვალი:

30000000-საოფისე და კომპიუტერული მანქანები, მოწყობილობები და მარაგი, ავეჯისა და პროგრამების პაკეტის გარდა

30000000-საოფისე და კომპიუტერული მანქანები, მოწყობილობები და მარაგი, ავეჯისა და პროგრამების პაკეტის გარდა

30000000-საოფისე და კომპიუტერული მანქანები, მოწყობილობები და მარაგი, ავეჯისა და პროგრამების პაკეტის გარდა

22000000-საბეჭდო მასალა და მონათესავე პროდუქცია

79000000-ბიზნეს მომსახურებები: იურისპრუდენცია, მარკეტინგი, კონსულტირება, რეკრუტირება, ბეჭდვა და უსაფრთხოება

50000000-შეკეთება და ტექნიკური მომსახურება

66000000 საფინანსო და სადაზღვევო მომსახურებები

სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე კომისიის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია).

20. კომისიასთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ კომისია გასცემს შემდეგი სახის ლიცენზიებს:

- ელექტროენერგიის წარმოების გადაცემის ლიცენზიებს;
- დისპეტჩერიზაციისა და განაწილების ლიცენზიებს;
- ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების და განაწილების ლიცენზიებს.

ვებ-გვერდზე მომხმარებლისათვის თვალსაჩინო ადგილას არ მოიძიება კომისიის მიერ განსახორციელებელ ზემოთ ხსენებულ სახელისუფლებო ქმედებათა შესახებ შემდეგი სახის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება კომისიის იმ თანამდებობის პირთა სახელები და გვარები, აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები (ტელეფონის ნომრები, ელ. ფოსტები), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ზემოთ ხსენებულ სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელებაზე;
- არ მოიძიება ზემოთ ხსენებულ სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელებასთან დაკავშირებით კომისიის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღებისა და მათთან მუშაობის გრაფიკი.

➤ საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა

21. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად “ვაკანსიები“ სასურველია, აგრეთვე განთავსდეს თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (კომისიის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით) და თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ. :

მთავარი
ჩვენს შესახებ
პანტეონები
კანონმდებლობა
ლიცენზირება
ტარიფები
ელექტროენერგეტიკა
ბუნებრივი გაზი
წყალმომარაგება
ანგარიშგების ფონდები
ბმულები
ვაკანსია
გალენა

„დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ცხადდება საჯარო კონკურსი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანამდებობის დასაკავებლად.

არქივი


➤ საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)

22. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება კომისიის დამტკიცებული ყოველწლიური ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია და ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსის და ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;
- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება კომისიის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება კომისიის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს კომისია (არსებობის შემთხვევაში);
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ კომისიისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.


ზემოთხსენებული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ (ქვე-) განყოფილებაში „ბიუჯეტი“ და „ფინანსური მონაცემები“.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე



➤ ნავიგაცია

ვებ-გვერდის ძიების რუკა არ ფუნქციონირებს. მაგ:



➤ ძიება

ვებ-გვერდის ძიების მოდული, ქართულ ფონტით ძიების შემთხვევაში არ ფუნქციონირებს. მაგ:

Forbidden

You don't have permission to access /index.php?kw=%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%

www.gnec.org

ძიების მოდული ჩანს მხოლოდ პირველ გვერდზე, სხვა გვერდებზე აღნიშნული მოდული იკარგება. რაც უარყოფითად მოქმედებს ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე.

მაგ:

ანგარიში საჯარო წარმოება ტენდერები მედია ცენტრი საკონტაქტო ინფორმაცია GEO ENG

საქართველოს ენაიგაზიისა და წყალმომარაგების მსახიბიხიბილი აიოვნილი აიოისილი

მთავარი
ჩვენს შესახებ
პარტნიორები
კანონმდებლობა
ლიცენზირება
ტარიფები
ელექტროენერგეტიკა
ბუნებრივი გაზი
წყალმომარაგება
ანგარიშების ფორმები
ბმულები
ვაკანსია
გალერეა

დადგენილება№1 ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ სემეკის 2005 წლის 30 დეკემბრის #30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

დადგენილება№2 ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის #30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2006 წლის 21 დეკემბრის #43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ სემეკის დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე

დადგენილება№4 ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ სემეკის 2006 წლის 15 მაისის #18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

დადგენილება№5 ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ სემეკის 2006 წლის 15 მაისის #18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

დადგენილება№6 ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის #30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

დადგენილება№8 ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის #30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

დადგენილება№10 ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის #30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

➤ მარტივად აღქმის კრიტერიუმები

ვებ-გვერდის ადმინისტრირებაში დაშვებულია ვიზუალური შეცდომები, იგი ცდება სტანდარტებს.

მაგ:



	<u>დადგენილება№1 ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ~ სემეკის 2005 წლის 30 დეკემბრის #30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ</u>
ბიკა	<u>დადგენილება№2 ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ~ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის #30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ~ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2006 წლის 21 დეკემბრის #43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ~ სემეკის დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე.</u>
რმები	<u>დადგენილება№4 ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ~ სემეკის 2006 წლის 15 მაისის #18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ</u>
	<u>დადგენილება№5 ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ~ სემეკის 2006 წლის 15 მაისის #18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ</u>
	<u>დადგენილება№6 ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ~ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის #30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ~</u>
	<u>დადგენილება№8 ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ~ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის #30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ~</u>
	<u>დადგენილება№10 ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ~ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის #30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ~</u>
	<u>დადგენილება№11 ელექტროენერგიის გაბარების ტარიფების</u>

➤ საკონტაქტო ფორმები და წესები

ვებ-გვერდის საკონტაქტო ფორმის გამოყენების შემდეგ, მოდულს გადავყავართ გვერდზე სადაც წერია მხოლოდ ელ.ფოსტა და გაუგებარი რჩება თუ რატომ ფიქსირდება ასეთი მოქმედება.

მაგ:

mail@gnerc.org

➤ ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

პირველად მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირდა ვაკანსიების არქივის არსებობა. ეს აუცილებლად დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან მსგავსი ინფორმაციის დაარქივება ძალიან სასარგებლოა ყველა მოქალაქისთვის.

მაგ:

პარტნიორები	შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ცხადდება საჯარო
კანონმდებლობა	კონკურსი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
ლიცენზირება	მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან მოქმედი
ტარიფები	მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის
ელექტროენერგეტიკა	თანამდებობის დასაკავებლად.
ბუნებრივი გაზი	არქივი
წყალმომარაგება	
ანგარიშგების ფორმები	
ბმულები	
ვაკანსია	
გალერეა	

➤ სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

ვებ-გვერდის ყველა ბმული არ არის გამართული. მაგალითად ნავიგაციაში არსებული გალერიის ბმულს გადაყვავართ ცარიელ გვერდზე:

ბუნებრივი გაზი	კომისიის სხდომის
წყალმომარაგება	3 თებერვალს კომისი:
ანგარიშგების ფორმები	
ბმულები	კომისიის სხდომის
ვაკანსია	5 იანვარს კომისია მო
გალერეა	
	კომისიის სხდომის
	4 იანვარს კომისია მო
	კომისიის სხდომის
	29 დეკემბერს კომისი:

ვებ-გვერდზე დაფიქსირდა ძალიან მნიშვნელოვანი ხარვეზი, ენის შეცვლასთან ერთად ვებ-გვერდის მისამართში არ ფიქსირდება ენის შეცვლის ცვლადი, რის გამოც გამოდის რომ შემდეგი ბმული: <http://gnerc.org/index.php?m=560&newsid=215> ქართულენოვანო ვერსიაშიც იგივეა და ინგლისურენოვან ვერსიაშიც.

ვებ-გვერდი ბრაუზერ „Opera“-ში არ იტვირთება გამართულად.

მაგ:

ანგარიში

საჯარო წარმოება

ტენდერები

მედია ცენტრი

საკონტაქტო ინფორმაცია

GEO

ENG



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
რეგულირების ეროვნული ავტორიტეტი

მთავარი

ჩვენს შესახებ

პარტნიორები

კანონმდებლობა

ლიცენზირება

ტარიფები

ელექტროენერგეტიკა

ბუნებრივი გაზი

წყალმომარაგება

ანგარიშგების ფორმები

ბმულები

ვაკანსია

გალერეა

რეკომენდაციები

მომხმარებელთა
საცურადღებოდ

ხელმოწერა

OK

ხელმოწერის გაუქმება

სიახლეები

კომისიის სხდომის დღის წესრიგი
23 თებერვალს კომისია მოიწვევს სხდომას გამართავს

ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთება
ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთების პროცედურები "ერთი ფანჯრის" პრინციპს დაეყრდნობა

კომისიამ მოქალაქეთა საჩივრები დააკმაყოფილა

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" მომხმარებელთა პრეტენზიების არასრულყოფილად შესწავლის გამო 5000 ლარით დაჯარიმდა

კომისიამ მოქალაქეებს უკანონოდ რიცხული თანხები ჩამოაწერა

აჭარის წყალმომარაგების კომპანიებმა ლიცენზიები მიიღეს

არქივი

დავები

აქტუალური
კითხვები

საჯარო წარმოება

დამსკეპულია ადმინისტრაციული
წარმოება შპს "სასკოსა-და შპს
"ქორქიან უთიერ ენდ ფაუნდრის-
შორის არსებული დავის თაობაზე

ძევა საიტზე

ფოტო გალერეა



მისი გვერდის თავი (ანუ Header-ი) არ არის მიბჯენილი ზედა კიდე.

ამ შემთხვევაში ვებ-გვერდი უნდა გამოიყურებოდეს შემდეგნაირად:



➤ ონლაინ სერვისები

ვებ-გვერდის სიახლეების გამოწერის მოდულს აწერია რატომღაც „ხელმოწერა“. მაგ:



სინამდვილეში ეს არის სიახლეების გამოწერის მოდული.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგადად ვებ-გვერდს არ აქვს ქართული უნიკოდის მხადაჭერა ისეთი მოდულებში როგორც არის სიახლეების გამოწერის მოდული და ძიების მოდული;

➤ დამატებითი პარამეტრები

ვებ-გვერდის საბეჭდი ვერსია არ გააჩნია, მას აქვს მხოლოდ ბეჭდვის ფუნქცია.

მაგ:

კომისიამ დაგები მოქალაქეთა სასარგებლოდ გადაწყვიტა

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 19 მაისის სხდომაზე განიხილა საკითხი მოქალაქე რ. ეზუგბაიასა და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის არსებული დავის შესახებ. მსჯელობის შედეგად კომისიამ უკანონოდ მიიჩნია კომპანიის მიერ მოქალაქეზე 2009 წლის სექტემბერში, ოქტომბერსა და ნოემბერში განხორციელებული დარიცხვები. შესაბამისად, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დაევალა თანხის კორექტირება.

სხდომაზე კომისიამ განიხილა ასევე ზოგადი ინფორმაცია სოფელ ზედა ეწერი მოსახლეობასა და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის არსებული დავის შესახებ. გადაწყვეტილებით, კორექტირება სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოქალაქე რ. დანელიასადმი დაევალა.

გარდა ამისა, კომისიამ განიხილა ასევე „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ მოქალაქეებს კომპანიის მიერ დადებული დარიცხვების შესახებ. კერძოდ, ლ. ნარუაშვილის – 273.35 ლარი, ლ. წამალაიძის – 539.13 ლარი, მ. ჩამოეწერა 1547 ლარი, გადამხდელი 475 ლარი იმსჯელა ბ. ფატარაძისადმი. არსებული დავის შესახებ კომისიამ უნდა მოახდინოს კორექტირება.

საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი

19.05.2011

« უკან

ბეჭდვა

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე გასამართია ნავიგაციის და ძიების მოდულები, ეს არის მთავარი მოდულები, რომლებიც განაპირობებენ ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ასევე ყურადღება გასამახვილებელია საკონტაქტო ფორმებზე და წესებზე. ზოგადად ვებ-გვერდზე ჩასატარებელია უამრავი სამუშაო, რათა გასწორდეს არსებული ხარვეზები და მას დაემატოს ახალი ფუნქციები და მოდულები, რაც აუცილებელია მომხმარებელთა კომფორტისთვის.